საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. მარტის 20. № 5 ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

27. 1936 წლისთვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

28. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

29. შაქრის ჭარხლის თესვის გეგმისა და მისი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

30. 1936 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა.

31. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის სანადირო მეურნეობის სწორ წარმოებაზე ზედამხედველობის დაკისრების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

32. 1936 წელს ადგილობრივი საშენი მასალის რეალიზაციის წესის შესახებ.

33. 1935 წლის მოსავლის მზესუმზირის ზეთისა და თესლის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

ფინანსები.

34. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ გამოცემული დადგენილების მე-IV კარის გაუქმების შესახებ.

განათლება.

35. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოწყობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

27. დადგენილება

1936 წლისთვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკანურ კოოპერაციულ ცენტრებს და აგრეთვე სხვა სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს—უზრუნველყონ, რომ მათი სისტემის სამეურნეო წამოწყებებმა დადვან ხელშეკრულებანი 1936 წლისათვის იმ ვადაზე და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 15-ის თარიღის და 67 № ის დადგენილებით „1936 წლისთვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ“ (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს მე-15 №-ი 1936 წ. იანვრის 17-ისა; სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 3, მუხ. 27).

2. პასუხისმგებლობა სამეურნეო ხელშეკრულებათა თავის დროზე და წესიერად დადებისათვის ეკისრებათ:

ა) საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ;

ბ) რაიონებსა და ქალაქებში—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეთ;

გ) რესპუბლიკანური ქვემდებარეობის მეურნეობის ცალკეული დარგების ხაზით—სათანადო სახალხო კომისართა და ცენტრალური დაწესებულებებისა და კოოპერაციული სისტემების ხელმძღვანელთ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარ არბიტრს:

ა) გამოყოს სპეციალური არბიტრი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში შეტანილ წინასახელშეკრულებო დავათა გადაწყვეტისათვის, უზრუნველყოს-რა ამასთანავე ამ დავათა განხილვა ხუთი დღის ვადაზე დავის მიღების დღიდან;

ბ) დააწესოს სისტემატური კონტროლი საუწყებო არბიტრაჟების მუშაობისათვის წინასახელშეკრულებო დავათა განხილვის ხაზით და აცნობოს ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამ დავათა არასისწორით გადაწყვეტის ყველა შემთხვევა.

საქ. სსრ ს. ჯ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. იანვრის 31. № 41.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია ჟურ. „კომუნისტის“ 26 №-ში 1936 წ. თებერვლის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ.

„სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 9-ის თარიღის და 2623 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ. კან. კრ. 1935 წ. № 64, მუხ. 518), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სბჭო ადგენს:

1 საქართველოს სსრ-ის როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი ქვემდებარეობის სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა (გაერთიანებული სახალხო კომისარიატების სისტემაში შემოვალთა გარდა) ფილიალების (კონტორა, განყოფილება, სააგენტო და სხვა მისთ.) და ყოველგვარი წარმომადგენლობის (მათ შორის ერთპიროვნული რწმუნებულების) გახსნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით.

2. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე და მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანებული სახალხო კომისარიატების სისტემისა, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების არა გაერთიანებული სახალხო კომისარიატების და უწყებების სისტემის სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა ფილიალების და წარმომადგენლობების გახსნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1935 წ. დეკემბრის 9-ის თარიღის და 2623 №-ის, დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“, „გ“ „დ“ და „ე“ პუნქტებით.

3. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფილიალებისა და წარმომადგენლობების რეგისტრაცია წარმოებს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში იმის შემდეგ, რაც წარდგენილ იქნება ასლი სათანადო ორგანოს დადგენილების, ბრძანების ან განკარგულებისა ფილიალის თუ წარმომადგენლობის მოწყობის შესახებ და მისთვის სათანადო წესით დამტკიცებული საშტატო განრიგება.

4. აეკრძალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას და მის ადგილობრივ ფილიალებს მიმდინარე ანგარიშების გახსნა, რაიმე ფულადი სახსარის მიცემა და საკრედიტო-საანგარიშო სწორი ოპერაციების წარმოება იმ ფილიალებისა და წარმომადგენლობებისათვის, რომლებიც გაფორმებულ არ არიან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 9-ის თარიღის და 2623 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ, ხოლო სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს—ხელშეკრულებათა და გარიგებათა დადება ამავე ფილიალებთან და წარმომადგენლობებთან.

5. სათანადო სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა ხელმძღვანელნი და ამ ორგანიზაციათა და წამოწყებათა ფილიალებისა და წარმომადგენლობების სათავეში მდგარი პირნი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს

1935 წ. დეკემბრის 3-ის თარიღის და 2623 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევისათვის მიცემულ უნდა იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის თანახმად.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 4-ის თარიღის და 714 №-ის დადგენილება სხვაქალაქური სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა რეგისტრაციის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-18 №-ი, მუხ. 113) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 9. № 106.

ტფილისი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

29. დადგენილება ს. კ. ს. და ს. კ. პ. (ბ) ც. კ..

შაქრის ჭარხლის თესვის გეგმისა და მისი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა 1936 წლისათვის საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში 5.000 ჰექტარის რაოდენობით და განაწილდეს ეს გეგმა რაიონების მიხედვით შემდეგნაირად:

1) ხაშურის	რაიონი	2.800 ჰექტარი
2) გორის	„	1.100 „
3) კასპის	„	1.100 „
ს უ ლ	. . . . .	**5.000 ჰექტარი.**

გათვალისწინებულ იქნას წინადადებანი იმ მოწინავე კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა თათბირისა (მოწვეული იყო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მიმდინარე წლის 13 იანვარს), რომელთაც 1935 წელს მიიღეს ჭარხლის მაღალი მოსავალი, და დამტკიცდეს ამ წინადადებათა მიხედვით შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა 1936 წლისათვის რესპუბლიკაში საშუალოდ 217 ცენტნერი ერთ ჰექტარზე, ხოლო ხაშურის რაიონში—200 ცენტნერი, გორის რაიონში—250 ცენტნერი და კასპის რაიონში—227 ცენტნერი.

2. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის დასახული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, დადგენილ იქნას სასუქის შეტანის შემდეგი წესი:

ა) მძრალად მოხნული მიწის თესვისწინა კულტივაციის წინ—შეტანილ იქნას გადამწვარი ან ნახევარად გადამწვარი ნაკელი 10 ტონის ანგარიშით ერთ ჰექტარზე იმ ფართობში, რომელშიაც ნაკელი და მინერალური (ძირითადი) სასუქი შემოდგომიდან შეტანილი არ ყოფილა;

ბ) გარდა ძირითადი სასუქისა, შეტანილ იქნას 0,3 ტონა ნაცარი მძრალად მოხნული მიწის თესვისწინა კულტივაციის წინ—გამოფიტულ, ღია-ნაცრისფერ და ქვენაცროვან ნიადაგზე;

გ) თესვის დროს შეტანილ იქნას მწკრივებში—კომბინირებული სათესებით—ნათესის მთელ ფართობზე სუპერფოსფატი 2 ცენტნერის ანგარიშით ერთ ჰექტარზე;

დ) ჩატარდეს შაქრის ჭარხლის სავალდებულო საზრდოობა ორჯერ ფრინველის ნაკელით, ნაკელის წვენით, გადამწვარი ნაკელით და ლეინის გვარჯილით, რისთვისაც დაწესებულ იქნას ადგილობრივი სასუქის დამზადების შემდეგი გეგმა:

ხაშურის რაიონში: ფრინვლის ნაკელი 100 ტონა—500 ჰექტარ ფართობზე, გადამწვარი ნაკელი 8.000 ტონა—2.000 ჰექტარ ფართობზე, ნაკელის წვენი 1.150 ტონა—380 ჰექტარ ფართობზე და ნაცარი—500 ტონა;

გორის რაიონში: ფრინვლის ნაკელი 70 ტონა—350 ჰექტარ ფართობზე, გადამწვარი ნაკელი 3.200 ტონა—800 ჰექტარ ფართობზე, ნაკელის წვენი 600 ტონა—200 ჰექტარ ფართობზე და ნაცარი 150 ტონა;

კასპის რაიონში: ფრინვლის ნაკელი 60 ტონა—800 ჰექტარ ფართობზე, გადამწვარი ნაკელი 3.880 ტონა—970 ჰექტარზე, ნაკელის წვენი 250 ტონა—83 ჰექტარ ფართობზე და ნაცარი 150 ტონა.

შეზიდულ იქნას ლეინის გვარჯილა ხაშურის რაიონში 180 ტონა—2250 ჰექტარზე, გორის რაიონში 60 ტონა—750 ჰექტარზე და კასპის რაიონში 60 ტონა—750 ჰექტარზე.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ერთი დეკადის ვადაზე დაუგზავნოს რაიონებს ინსტრუქცია ადგილობრივი და მინერალური სასუქის შენახვისა და ნიადაგში შეტანის შესახებ.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს უზრუნველყონ:

ა) ჭარხლის სათესების (ცხენის და ტრაქტორიანი), „ზიგ-ზაგ"-ის ფარცხების, კულტივატორების, საოში მანქანების, სასხურებლების და წვრილი ინვენტარის რემონტის დამთავრება მიმდინარე წლის 1-ლი მარტისათვის;

ბ) დამზადება საჭარხლე ხელის თოხებისა (სიგანით 14 სანტ.) და დანებისა მწკრივების გასაფხვიერებლად—მიმდინარე წლის 15 მარტისათვის: ხაშურის რაიონში—5.000 ცალი თოხისა და 5.000 ცალი დანისა, გორის რაიონში—2-000 ცალი თოხისა და 2.000 ცალი დანისა და კასპის რაიონში—2.000 ცალი თოხისა და 3.000 ცალი დანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ვადაზე დამზადდეს ადგილობრივ საჭირო რაოდენობით ხის სპეციალური ლარტყები შაქრის ჭარხლის სწორი გამეჩხერებისათვის.

4. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა:

ა) უზრუნველყოს რაიონები რკინისა და ფოლადის საჭირო რაოდენობით თოხების და დანების დასამზადებლად;

ბ) მიმდინარე წლის 15 მარტისათვის დაამთავროს 200 დაღარული სატკეპნელის დამზადება და შეზიდოს 100 ცალი სატკეპნელი ხაშურის რაიონში, 50 ცალი—გორის რაიონში და 50 ცალი—კასპის რაიონში;

გ) ამის გარდა, შეზიდოს: ხაშურის რაიონში 20 ჭარხლის სათესი, 14 კულტივატორი ტკ-17 და 50 ცალი კულტივატორი უკს-1, გორის რაიონში—9 სათესი, 8 კულტივატორი ტკ-17 და 35 კულტივატორი უკს-1 და კასპის რაიონში—11 სათესი, 17 კულტივატორი ტკ-17 და 35 კულტივატორი უკს-1.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ჭარხლის თესვის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს—უზრუნველყონ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

ა) სარწყავი ქსელის გაწმენდისა და ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა რემონტის გეგმის შესრულება—მიმდინარე წლის 30 მარტისათვის;

ბ) ახალი რაბების გაკეთება (სადაც გაკეთებული არაა) 1-ლ ივნისისათვის;

გ) თვითეულ ჭარხლის მომყვან კოლმეურნეობაში, რომელსაც სარწყავი მიწა აქვს, კოლმეურნეობის გამგეობის ერთი წევრის გამოყოფა სწორი წყალგანაწილებისა და წყალსარგებლობის ორგანიზაციისათვის;

დ) სარწყავ ნაკვეთებზე საგაზაფხულო კულტურების განაწილების გეგმის შედგენა—ცალ-ცალკე კულტურების, სარწყავი არხების, განმანაწილებლების, უბნებისა და რუკების მიხედვით (თანაც, ეს მუშაობა უნდა დამთავრეს ა/წ 25 მარტისათვის);

ე) მერაბების შტატის გადასინჯვა და მისი დაკომპლექტება კვალიფიციური მომუშავეებით.

6. დაწესებულ იქნას მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადების შემდეგი გეგმა:

ა) მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები: ხაშურის რაიონში—270 კაცი, გორის რაიონში—180 კაცი და კასპის რაიონში—150 კაცი;

ბ) რგოლთა ხელმძღვანელები: ხაშურის რაიონში 1.000 კაცი, გორის რაიონში—500 კაცი და კასპის რაიონში—300 კაცი;

გ) მთესველები: ხაშურის რაიონში—90 კაცი, გორის რაიონში—45 კაცი და კასპის რაიონში—40 კაცი;

დ) მრწყველები: ხაშურის რაიონში—50 კაცი, გორის რაიონში—100 კაცი და კასპის რაიონში—150 კაცი;

ე) კულტივატორზე (უკს-1 კულტივატორზე) მომუშავენი: ხაშურის რაიონში—56 კაცი, გორის რაიონში—36 კაცი და კასპის რაიონში—32 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსები მოეწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან 15 დღის ვადით და დამთავრდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მარტისა.

კოლმეურნეობათა გამგეობის წევრები, რომლებიც გამოყოფილ იქნებიან წყალგანაწილების და წყალსარგებლობის ორგანიზაციისათვის, გატარებულ იქნან კურს-კონფერენციებზე.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაიყვანონ შაქრის ჭარხლის თესვისა და მოსავლიანობის გეგმა თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე და რგოლამდე, თანაც მოახდინონ მოსავლიანობის დიფერენციაცია სარწყავი და ურწყავი ნაკვეთების გათვალისწინებით;

ბ) მისცენ დავალება თვითეულ კოლმეურნეობას, ხოლო კოლმეურნეობათა გამგეობებმა—ბრიგადებსა და რგოლებს, ადგილობრივი სასუქის დამზადების საქმეში.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მისცეს მითითებანი კოლმეურნეობებს—იმ კოლმეურნეებისათვის შრომის ხელფასის მიცემის წესის შესახებ, რომლებიც ადგილობრივ სასუქს ამზადებენ.

8. ჩატარდეს სამი სავეგეტაციო რწყვა შემდეგ ვადებზე: 1-ლი რწყვა—1-ლი ივნისიდან 15 ივნისამდე, მე-2 რწყვა—1-ლი ივლისიდან 15 ივლისამდე და მე-3 რწყვა—25 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

მორწყვა უნდა ჩატარდეს აუცილებლივ კვლებში გაჟონვით კულტივაციის თანამიყოლებით.

9. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, სასოფლო საბჭოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს გამოყონ თვითეულ სოფელსა და ბრიგადაში მინდვრების მეთვალყურენი, რომლებსაც დააკისრონ—ყოველდღიურად დაათვალიერონ ჭარხლის პლანტაციები და იმ შეთხვევაში, თუ მინდვრად აღმოჩენილ იქნა სოფლის მეურნეობის მავნებლები, აცნობონ ეს კოლმეურნეობის გამგეობას და სასოფლო საბჭოს. თესვის დამთავრებისას შაქრის ჭარხლის ყველა მინდორი გარშემოვლებულ უნდა იქნას მავნებელთა საჭერი თხრილებით, და პლანტაციებზე უნდა დაიდგას გობები მოდუღარე ბადაგით.

გამოყოფილ იქნას თვითეულ კოლმეურნეობაში გამგეობის ერთი წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მავნებლებთან ბრძოლის საქმისათვის. 15 მარტამდე შემოწმებულ იქნას ადგილობრივ მავნებლებთან ბრძოლის მთელი არსებული აპარატურა და წვრილი ინვენტარი და უზრუნველყოფილ იქნას ამ აპარატურის და ინვენტარის სავსებით განმზადება აღნიშნული ვადისათვის.

პარტიის სარაიონო კომიტეტებმა მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებმა მიამაგრონ შაქრის ჭარხლის ნაკვეთები ბრიგადებზე და რგოლებზე თესვის, დამუშავების და მოსავლის აღების კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ხაშურის, გორის და კასპის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს—ფართოდ გამოიყენონ ხუთასოვან ქალთა გამოცდილება, სავსებით განახორციელონ ყველა აგროღონისძიება, დადგენილ ვადებზე და უზრუნველყონ შაქრის მაღალი მოსავლის მიღება თვითეულ რგოლსა, ბრიგადასა და კოლმეურნეობაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. იანვრის 31. № 63.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 32 №-ში 1936 წ. თებერვლის 9.

---

30. დადგენილება ს. კ. ს.

1936 წლ ს გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის გამო, რაც საქართველოს სსრ მეურნეობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საგანგებო კომისია წყალდიდობასთან ბრძოლისათვის ა/კსფსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქართველოს სსრ-ში) უფროსის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსისა, ა/კსფსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქართველოს სსრ ში) გზატკეცილების, ყამირზგების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსისა და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის წარმომადგენლის მონაწილეობით; დაეკისროს ამ კომისიას წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლით უშუალოდ დაინტერესებულ უწყებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედების კოორდინაცია, უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ყველა იმ ღონისძიების განხორციელების საქმისათვის, რაც უზრუნველჰყოფს მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის თავის დროზე მომზადებას და ჩატარებას, კერძოდ, უზრუნველჰყოფს წყლის ნაპირების გამმაგრებელი სამუშაოების თავის დროზე შესრულებას და ახლად მოწყობილი ნაპირების გამმაგრებელ ნაგებობათა დაცვას.

2. წინადადება მიეცეს იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე იმ საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც მოსალოდნელია მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყალდიდობა, დაუყოვნებლივ მოაწყონ საგანგებო კომისიები წყალდიდობასთან ბრძოლისათვის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით, კუთვნილებისამებრ, და წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი საგზაო ორგანოების წარმომადგენელთა შედგენილობით.

ზემოაღნიშნულმა ადგილობრივმა საგანგებო კომისიებმა: ა) დაუყოვნებლივ უნდა დაამყარონ კავშირი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგანგებო კომისიასთან: სარაიონო კომისიებმა—უშუალოდ, ხოლო სასოფლო და საქალაქო კომისიებმა (გარდა იმ კომისიებისა, რომელნიც არსებობენ დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო სბჭოებთან)—სათანადო სარაიონო საგანგებო კომისიების მეშვეობით, და ბ) უნდა იმოქმედონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის დირექტივებისა და მითითებების მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იზმარონ ღონისძიებანი წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიების უზრუნველყოფისათვის საჭირო საშენი მასალით (წნელი, ფიჩხი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭიროა წყალდიდობასთან საბრძოლველად შესაფერ ნაგებობათა მოწყობისათვის).

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას უზრუნველყოს წყალდიდობასთან საბრძოლველად საჭირო სამუშაოები საშენი მასალით ცენტრალიზებული ფონდებიდან.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ხოლმე, წყალდიდობასთან ბრძოლის ცენტრალური და ადგილობრივი საგანგებო კომისიების მოთხოვნით, მოსახლეობისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარა იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისთვის შრომის ბეგარის შეძოლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. №-16, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28; 1935 წ. № 14, მუხ, 79).

5. წინადადება მიეცეს ა/კ. სატყეო მრეწველობის ტრესტს, საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უფასოდ მიაწოდონ წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიებს—საჭირო ხე-ტყის მასალა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართვ. მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 5. № 62.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 50 №-ში 1936 წ. მარტის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

31. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატზე სანადირო მეურნეობის სწორი წარმოებისათვის ზედამხედველობის დაკისრების შესახებ.

შესაბამისად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის სექტემბრის 5-ის დადგენილებისა „სოიუზზაგოტპუშნინის“ ა/კ-ის სამხარეო და რესპუბლიკანური კონტორების ა/კსფსრ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს სისტემიდან ა/კსფსრ დამზადებათა კომიტეტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ (ოქ. № 15—1935 წ.), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ზედამხედველობა სანადირო რეწვაობის სწორი წარმოებისათვის და ნადირობის წესების დაცვისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

ვაჭრობა. მომარაგება.

32. დადგენილება ს. კ. ს.

1936 წელს ადგილობრივი საშენი მასალის რეალიზაციის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას, რომ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის იმ წამოწყებათა, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის იმ წამოწყებათა მთელი პროდუქცია, რომელნიც აწარმოებენ ადგილობრივ საშენ მასალას, ტბრალო მასალის გარდა (ქვიშა, ქვა, ხრეში, თიხა, გაჯი და სხვა მისთ.), რეალიზებულ უნდა იქნას 1936 წელს „საქმომარაგებაგასაღების“ მეშვეობით, აღნიშნული მასალის იმ ნაწილის გარდა, რაც ჭრჩება წამოწყებას საკუთარი სამშენებლო საჭიროებისათვის და ბაზარში სარეალიზაციოდ ფართო მოხმარების საგნების ფასად.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ წამოწყებას, რომელიც ადგილობრივ საშენ მასალას აწარმოებს, მიჰყიდოს „საქმომარაგებაგასაღებას“ საწარმოო პროგრამით დაგეგმილი პროდუქცია ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში.

სათანადო ხელშეკრულებანი უნდა დადვან ზემოაღნიშნულმა წამოწყებებმა „საქმომარაგებაგასაღებასთან“ იმ წესით და იმ ვადაზე, რაც განსაზღვრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 15-ის ... ლისა და 67 №-ის დადგენილებით „1936 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ" (სსრკ ცენ. აღმ. კ-ის „იზვესტიას" მე-15 №-ი 1936 წ. იანვრის 17-სა; სსრკ კან. კრ. 1936 წ. №-3, მუხ. 27).

3. დაევალოს „საქმომარაგებაგასაღებას"—დადვას ადგილობრივი საშენი მასალის მომხმარებლებთან, ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული წესით და ვადაზე, ხელშეკრულებანი ამ მასალის მიწოდების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული, ამ მასალების განაწილების წლიური გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას დიდრონ მომხმარებელთა მიმაგრება ადგილობრივი საშენი მასალის მიწოდების მხრით განსაზღვრულ საწარმოო წამოწყებებსა და ქარხნებზე (რომელნიც შეეფერებიან მათ საწარმოო ძალოვნებით და ადგილმდებარეობით).

შენიშვნა. ტფილისის საქალაქო საბჭოს მომხმარებელი ორგანიზაციები მომარაგდებიან ადგილობრივი საშენი მასალით უშუალოდ ამ საბჭოს ქარხნებიდან.

4. ადგილობრივი საშენი მასალის რკინის გზით გადაზიდვის დაგეგმვა და ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოში ამ გადაზიდვაზე ჯუმლობითი განაცხადების წარდგენა დაევალოს „საქმომარაგებაგასაღებას".

დაევალოს ადგილობრივი საშენი მასალის მომხმარებელთ—წარუდგინონ ხოლმე „საქმომარაგებაგასაღებას დადგენილ ვადაზე განაცხადები ადგილობრივი საშენი მასალის გადაზიდვაზე.

საქ. სსრ ს. კ. კ-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 5. № 64.

ტფილისი.

---

33. დადგენილება ს. კ. ს.

1935 წლის მოსავლის მზესუმზირის ზეთიხა და თესლის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში 1935 წლის მოსავლის მზესუმზირის დამზადებისათვის დადგენილი გეგმის შესრულების გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს დაუბრკოლებლად გადაამუშაონ თავიანთი მზესუმზირის თესლი ზეთად და მიჰყიდონ მზესუმზირის თესლი და ზეთი სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, აგრეთვე გაყიდონ ქალაქებისა და სოფლების ბაზრებში და რკინის გზის სადგურებზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1936 წ. იანვრის 28. № 37.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსები

34. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ გამოცემული დადგენილების მე-IV კარის გაუქმების შესახებ.

„ბრუნვის გადასახადით საზოგადოებრივი კვების წამოწყებათა დაბეგვრის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 29-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-2 №-ი, მუხ. 211), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას 1936 წ. იანვრის 1-დან „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტი და მე-IV კარი (მუხლები 10-12, 14-16—გამოსაღები იმ საწარმოთათვის, რომელნიც იძლევიან საჭმელებს და მაგარ სასმელებს ადგილობრივ მოსახმარებლად, და სასტუმროთათვის.—საქ. სსრ კან კრ. 1933 წ. მე-10 №-ი მუხ. 141).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. თებერვლის 7. № 117/69.
ტფილისი.

განათლება

35. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოწყობის შესახებ.

„სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ხელოვნების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის მოწყობის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 17-ის დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. № 5, მუხ. 40), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს: ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან—ხელოვნების საქმეთა სამმართველო და ბ) აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებ-

თან—ხელოვნების საქმეთა განყოფილებანი, რომელნიც არიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორგანოები.

2. გადაიცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში შემდეგი დაწესებულებანი:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველო („სახკინმრეწვი"), მის სისტემაში შემავალი ყველა წამოწყებით, კინო-თეატრით, მოძრავი დანადგამით და სასწავლებლით;

ბ) სახელმწიფო თეატრები:

1) ოპერისა და ბალეტის ტფილისის თეატრი;
2) შოთა რუსთაველის სახელობის ტფილისის თეატრი;
3) მარჯანიშვილის სახელობის ტფილისის თეატრი;
4) გრიბოედოვის სახელობის ტფილისის თეატრი;
5) ტფილისის სომხური დრამატიული თეატრი;
6) ტფილისის თურქული დრამატიული თეატრი;

გ) გუნდები და ვოკალური ანსამბლები:

1) აკადემიური გუნდი;
2) აღმოსავლეთი საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი;
3) დასავლეთი საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი;
4) რაჭული გუნდი კობახიძის ხელმძღვანელობით;
5) ვაკალური კვარტეტი;

დ) ორკესტრები და ინსტრუმენტალური ანსამბლები:

1) სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი;
2) სახელმწიფო ინსტრუმენტალური კვარტეტი;
3) ქართული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი;
4) აღმოსავლური ანსამბლი;
5) მეჩონგურეთა ანსამბლი;

ე) მუსიკალურ წამოწყებათა და საესტრადო და საგასტროლო საქმის სახელმწიფო შენაერთი („სახფილეგტი");

ვ) მოძრავი თეატრები:

1) სასაბჭ-მეურნეო-საკოლმეურნეო მუსიკალური სატირის სახელმწიფო მოძრავი თეატრი;

2) სასაბჭმეურნეო-საკოლმეურნეო სახელმწიფო მოძრავი თეატრი სახალხო არტისტის კობახიძის ხელმძღვანელობით;

3) სასაბჭმეურნეო-საკოლმეურნეო თურქული მოძრავი თეატრი;

ზ) სასწავლებლები:

1) სამხატვრო აკადემია;
2) სამხატვრო ტექნიკუმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) სახელმწიფო კონსერვატორია;

4) მუსიკალური მუშათა ფაკულტეტი;

5) მუსიკალური ტექნიკუმები (15);

6) თეატრალური სტუდიები: საოპერო და საქორეოგრაფიო და დრამატიული: რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებთან;

თ) მ უ ზ ე უ მ ე ბ ი:

1) ეროვნული გალერეა;

2) ხელოვნებათა მუზეუმი „მეტეხი";

3) სათეატრო მუზეუმი;

4) ქართული მუსიკის კაბინეტი;

ი) ჟ უ რ ნ ა ლ ი „ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა";

კ) ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ო ს ტ ა ტ თ ა ს ა ხ ლ ი;

დ) ს ო მ ხ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა ხ ლ ი.

3. ზემოაღნიშნული დაწესებულებანი და წამოწყებანი გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1936 წლისათვის დადგენილი მატერიალური და ფინანსური ფონდებით და ასიგნებით.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაეკისროს:

ა) ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისათვის ხელოვნების სფეროში, აგრეთვე მუშაობის დაგეგმვა და საერთო ხელმძღვანელობის გაწევა თეატრალური და სხვა სანახაობათა წამოწყებებისა და სათანადო სასწავლებლებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების და სხვა უწყებების და ორგანიზაციების უშუალო გამგებლობაშია;

ბ) საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მომუშავეთა გამაერთიანებელი შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 10 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად, წინასწარ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან სათანადო ნაწილების შეთანხმებით:

ა) ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და განყოფილებების სტრუქტორა და შტატები;

ბ) ამ ორგანოების შენახვის ხარჯთაღრიცხვა;

გ) ხელოვნების საქმეთა სამმართველოში შემავალი დაწესებულებისა და წამოწყებების საფინანსო გეგმა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გადასცენ მათთან მოწყობილ ხელოვნების საქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა განყოფილებებს სათანადო დაწესებულებანი და წამოწყებანი იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1936 წ. იანვრის 17-ის, დადგენილებით.

7. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიტანოს ორი თვის ვადაზე საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. თებერვლის 9. № 119/100.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 33 №-ში 1936 წ. თებერვლის 10.

36 - 184
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1936 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებ	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 9. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 16/II ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III; ტირაჟი 1.900

თავლ. რწმ. № 83040 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 164